პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ოთხშაბათი 10 სექტემბერი № 212 (16338) ფასი 2 კაპ. 1975

სკკპ XXV ყრილობის ფასადაღლილ

სიტყვა — საქმედ!

ასეთია ამოცანა.

ყველა რეზერვი — ხუთწლედს!

მეცხოველეობას — საკუთარი წარმოების საკვები

თივა და სენაჟი გეგმის გადამეტებით

ამჟამად პირუტყვისათვის საკვების დამზადების პასუხსაგები დღეებია. გამოცდილება მოწმობს, რომ მყარ შედეგებს იქ აღწევენ, სადაც მეცხოველეობისა და მისი საკვები ბაზის განვითარება დიდმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნიათ. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, ამ უკანასკნელ დღეებში ცალკეული რაიონები წარმატებით შრომობენ.

თივა

ვანის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებელთა პირობა იყო წელს პირუტყვისათვის მოემზადებინათ 900 ტონა თივა, უკვე გათიბულია და სათანადო ადგილას დაზვინულია 1.019 ტონა თივა, რაც წლიური გეგმა-ვალდებულების 113 პროცენტს შეადგენს.

მაიაკოვსკის რაიონის საკვებმომპოვებლებმა წელს პირუტყვისათვის უნდა დამზადონ 280 ტონა თივა. ეს დავალება 227 პროცენტით გაანაღდეს.

სენაჟი

კარგად შუამობენ ჭიათურელ საკვებმომპოვებლები. რომლებმაც ნაცვლად ნაკისრი 800 ტონისა მოემზადებენ 1.425 ტონა თივა. ანალოგიურ წლიური გეგმა-ვალდებულება 178 პროცენტით შესრულებულ.

მაღალყანაანი საკვების — სენაჟის დასამზადებლად მთელი ძალღონით მუშაობენ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც წლიური გეგმა უკვე 168 პროცენტით გაანაღდეს, ვალდებულება — 95 პროცენტით.

დაწინაურდნენ ახალციხის რაიონის საკვებმომპოვებლები, რომლებმაც გეგმა-ვალდებულებით 9.200 ტონის ნაცვლად დამზადეს 9.676 ტონა სენაჟი. წარმატებები აქვს ადიგენის რაიონს. აქ უნდა მოიმარაგონ 13.750 ტონა სენაჟი, ფაქტიურად უკვე მზად აქვთ 15.698 ტონა.

გორის რაიონში წელს იკისრეს გეგმა-ვალდებულ ებ ი თ დამზადონ 11.250 ტონა სენაჟი. მომარაგებულია 14.327 ტონა სენაჟი. ახლა ამ საკვების ვალდებულების გადამეტებით ამზადებენ.

სენაჟის დამზადების გეგმა-ვალდებულება დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ბოგდანოვკის, ასპინძის, ხაშურის, ქარელის, ჯასპის, ბორჯომის, მცხეთის, მარნეულის, წალკის, დუშეთის, თიანეთის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, საჩხერის, ცხინვალის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის რაიონებმა, ტყიბულმა.

პირუტყვისათვის სენაჟისა და სხვა საკვების დამზადების უკანასკნელი დღეებია. დასავლეთ საქართველოში წვიმები იყო. ეს ხელს შეუწყობს ბალახისა და ნათესების ეფექტიანობას. საჭიროა შეუფერხებლად ვიარამოოთ თიბვა, საკვების დამზადება.

სკაკ-ის ცენტრალურ კომიტეტში

გურჯაანელთა ინიციატივა მოიწონეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის დირსული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ ხაზგასმულია, რომ სოფლის მეურნეობაში საჭიროა გამოვიყენოთ მთელი არსებული რეზერვები და გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია საკვების წარმატებით დაგროვებისათვის.

რესპუბლიკაში მყარი საკვები ბაზის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვატამინიანი ფეხვნეული წარმოებასა და აკაციის ფოთლებისაგან სილოსის დამზადებას. მაგრამ აკაციის ნარგავების ფართობი უმნიშვნელოა. მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინეს გურჯაანის რაიონის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. თვითეულმა მათგანმა ვალდებულება იკისრა დამზადოს 0,5 კილოგრამი აკაციის თესლი. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირეს რაიონის ყველა საშუალო სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა. ისინი დამზადებენ 2 ტონა აკაციის თესლს, რაც საშუალოს მოგვცემს შეეკმნათ ამ მცენარის სანერგეები 14-16 ჰექტარზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტს ბიურომ, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გურჯაანის რაიონის საშუალო სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ინიციატივას, მოიწონა იგი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კომკავშირის საოლქო, საქალაქო რაიონულ კომიტეტებს, ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას წინადადება მიეცათ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გულმოდგინედ განიხილონ აკაციის თესლის დამზადების არსებული შესაძლებლობანი, შეიმუშაონ მისი გამოყენების კონკრეტული გეგმები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს კომკავშირის საოლქო, საქალაქო რაიონულ კომიტეტებს ურჩია ყოველნაირი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ამ წამოწყების შემდგომ გავრცელებას. უზრუნველყონ მოსწავლეები და ახალგაზრდობა ტრანსპორტითა და სხვა საჭირო საშუალებებით. „კომკავშირული პროექტორის“ შტაბებთან და რაზმებთან ერთად უნდა მიაღწიონ შეგროვილი თესლის დროულ და ზუსტ აღრიცხვას, მის დანიშნულებისამებრ მიტანას, შენახვის აგროტექნიკური წესების მტკიცედ დაცვას.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ გურჯაანელ მოსწავლეთა მნიშვნელოვანი წამოწყების პროპაგანდას, მის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. ამისათვის ფართოდ უნდა გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

საუკეთესო საოლქო, საქალაქო, რაიონულ, სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ აკაციის თესლის დამზადების დროს, გადაეცემათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები და ფასიანი სამახსოვრო საჩუქრები. (საქინფორმი).

მეცხოველეობის კომპლექსი

აბაშის რაიონში შეიქმნა ახალი საკოლმეურნეობათშორისო მეცხოველეობის კომპლექსი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებლად, სადაც 1.000 სული პირუტყვი ჰყავთ. სახელმწიფოს უკვე მიაყიდეს პირველი პროდუქცია — 340 სულზე მეტი, თვითეული 250-დან 280 კილოგრამამდე წონისა.

კომპლექსს აქვს მწვანე, უხეში და წვნიანი, საკვების საწარმოო საკუთარი ბაზა. საკვებმომპოვებლები მთელი ძალღონით მუშაობენ იმისათვის, რომ პირუტყვისათვის მოამზადონ საკუთარი წარმოების საკვები. ულუფაში წლეულს დიდ ადგილს დაიკავებს მაღალყანაანი სენაჟი. უკვე ჩადეს 1.800 ტონა სენაჟი და ორი ათას ტონაზე მეტი სილოსი. საკვების დამზადება გრძელდება.

წლის დამლევისათვის კომპლექსის პირუტყვის სულადობა სამი ათასს მიაღწევს.

სურათზე: სახალოსე მწვანე მასის აღება.

ბ. მირსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთსულოვანი მხარდაჭერა გ. კურტანიძის ბრიგადის თაოსნობას

გეგმაც, მოგებაც, ხარისხიც

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ვ. გეგეძე, მთავარი ინჟინერი გ. ჭოლაძე) კოლექტივმა კრთსულოვნად დაუჭირა მხარი გ. კურტანიძის ბრიგადის თაოსნობას, რომელიც ითვალისწინებს უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ხარისხმრიცი მაჩვენებლებისა და მუშაობის ეფექტიანობის მკვეთრად გადიდებას. ამ პატრიოტულ მოძრაობაში ჩაება ყველა ბრიგადა, თვითეული, მკერავი.

კარგად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ თავისი შედეგი გამოიღო. მკერავებმა პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის დავალებას 852 ათასი მანეთით გადააჭარბეს, ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა საერთო პროდუქციის გამოშვება. ფაბრიკის კოლექტივის წლიური სოციალისტური ვალდებულება 1,4 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს. რვა თვეში უკვე გამოშვებულია 1,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სკკპ XXV ყრილობის ალსანიშნავად საწარმოს კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობებს და გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით კიდევ გამოუშვას 200 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია.

გეგმის შესრულებასთან ერთად საწარმოში სისტემატურად უმჯობესდება ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, ეს მაჩვენებელი განვლილ პერიოდში 1,3 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 370 ათასი მანეთი ეკონომია. შვიდ თვეში ზეგეგმითმა მოგებამ 397 ათასი მანეთი შეადგინა. დაზოგილი მასალებით გამოშვებულია 180 ათასი მანეთის ნაწარმი. მინიმუმამდე შემცირდა წუნით გამოწვეული ზარალი.

რვა თვის მუშაობის შედეგებს მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ მე-2 და მე-5 სამკერვალო საამქროები, რომლებსაც ნ. მიმინოშვილი და ნ. დავიდოვა ხელმძღვანელობენ.

ზ. ჯაფასაიშვილი.

ა. ნ. კოსიგინი მსაუბრა

საფრანგეთის მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრს მ. დ. ორნანოს

8 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საფრანგეთის მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრი მ. დ. ორნანო, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა თანამშრომლობის გაფართოების საკითხებზე მოსალაპარაკებლად და ენერგეტიკის დარგში სსრ კავშირის მიღწევების გასაცნობად. საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე ქვეყნისათვის საინტერესო მთელ რიგ დარგებში. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობათა შესახებ. მ. დ. ორნანომ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი და სწავლებელ ცენტრის, ასევე ენერგეტიკის ინსტიტუტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ენერგეტიკის სახელმწიფო კომიტეტის, ენერგეტიკის ინსტიტუტის, ენერგეტიკული ტექნიკის ინსტიტუტის, ენერგეტიკული ინსტიტუტის, ენერგეტიკული ინსტიტუტის, ენერგეტიკული

ყუთწყლედის მშენებლობაზე

კაშხალი ცისკენ მიიწევს

წლეულს ენგურჰესის კაშხალში უნდა ჩაასხან 400 ათასი კუბური მეტრი ბეტონი

ენგურჰესის თავისი მძლავრი მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროსადგურებით ერთ-ერთი რთული კომპლექსია, რომელიც ორჯერ მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ვიდრე საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგური. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 730 მილიონ მანეთს შეადგენს. შესრულდება 53 მილიონზე მეტი კუბური მეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, დამონტაჟდება 98 ათასი ტონა სხვადასხვა ზომის და ფორმის ლითონის კონსტრუქციები, გაყვანილი იქნება 50 კილომეტრამდე გვირაბი და სხვ.

მშენებლებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწიეს სამი უკანასკნელი წლის მანძილზე, ბევრი სიძნელე გადალახეს და შეასრულეს რამდენიმე ათეული მილიონი კუბური მეტრი მიწისა და კლდის სამუშაო, გაბურღეს გვირაბები, ჩააყარეს და დაამონტაჟეს ასეულ ათასობით კუბური მეტრი რკინაბეტონის და ლითონის კონსტრუქციები.

ენგურჰესის მშენებლებმა შარშან 33 მილიონ 300 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სახის სამუშაოები შეასრულეს, წინა წლეულთან შედარებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 12 პროცენტით გაიზარდა. დიდი სამუშაოები ჩატარდა თაღოვან კაშხალზე, ძაღოვან კვანძზე, გვირაბებში, მდინარე ენგურის ერისწყლის კალაპოტში გადაგდებაზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, 1973-1974 წლების გეგმა-ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულება წინა წლების ჩამორჩენას ვერ ანაზღაურებს, ამიტომ მშენებელთა და საშენი მასალების მომწოდებელი ორგანიზაციების დაძაბულ და გამართულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რომ ეს გიგანტი დანიშნულ დროზე, 1977 წლის ბოლოსათვის მთელი სიმძლავრით ამუშავდეს.

სამწუხაროდ, წლევანდელი 7 თვის მონაცემები ამის საბაბს არ გვაძლევს. 7 თვეში მშენებლობაზე გეგმით 22 მილიონ 363 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულებულიყო, შესრულდა კი 21 მილიონ 201 ათასი მანეთისა, რაც შვიდი თვის გეგმის 94,8 პროცენტს შეადგენს. მართალია, ენგურჰესის მშენებლებმა საკუთარი ძალებით ამ ხნის განმავლობაში გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულეს, მაგრამ სუბმოიჯარადრე ორგანიზაციები დღემდე გეგმებს ვერ ასრულებენ, რაც უკან სწევს მშენებლობის საერთო მაჩვენებლებს.

მშენებლობის ნაგებობათა შორის ყველაზე რთულ ობიექტზე მისი სათავე ნაგებობა წარმოადგენს, კერძოდ, 271,5 მეტრის სიმაღლის თაღოვანი კაშხალი. მის ტანში უნდა ჩაასხან ოთხ მილიონნაბდე კუბური მეტრი ბეტონი. კაშხალის საფუძვლისა და გვერდების მოსამზადებლად საჭირო გახდა 2 მილიონ 980 ათასი კუბური მეტრი მთის ქანების დამუშავება-გამოტანა.

მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ჭითანავა, გვიხსნის, რომ კაშხალში წლეულს გეგმით 400 ათასი კუბური მეტრი ბეტონი უნდა ჩაისხას, მაგრამ ამას ემატება ვალდებულება 10 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. 7 თვეში 207 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად მხოლოდ 181.600 კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხეს, ანუ 26 ათასი კუბური მეტრით ნაკლები. დანაკლისი რომ გადაიფაროს და გეგმა შესრულდეს, ყოველდღიურად კაშხალის ტანში 1.400-1.500 კუბმეტრი ბეტონი უნდა ჩაასხან. გეგმები კვლავ არ სრულდება. ასე, მაგალითად, 26 ივლისიდან 20 აგვისტომდე კაშხალის ტანში ჩაასხეს 27 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, ანუ საშუალოდ დღეში 1.080 კუბური მეტრი.

ბეტონის ჩაწყობაში ჩამორჩენის დასაძლევად პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაბელ-ამწეების, ოთი ბეტონის ჭარხნის, სამაგირო გზების, ტრანსპორტის რიტმულ, შეთანხმებულ მუშაობას. ყველა ამ საქმის მოსაწესრიგებელად კაშხალზე შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელსაც ენგურჰესის მშენებლობის უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ცისკარიშვილი ხელმძღვანელობს. შტაბი ყოველდღიურად განიხილავს წინადღის მუშაობის შედეგებს, სახავს ღონისძიებებს ჩამორჩენის, ნაკლოვანებების, დეფიქტების აღმოსაფხვრელად. ახლა ყველა ზომაა მიღებული კაშხალში წლევანდელი წლის გეგმის — 400 ათასი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმის შესასრულებლად.

როცა კაშხალზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უწყვეტი და ციკლური მოქმედების ბეტონის ქარხნებს, რომელთა გამართულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. აქ ყველა სამუშაო მექანიზებულია. სხვადასხვა ფრაქციებად დახარისხებულ ინერტულ მასალას საბაგირო გზით ქარხანას აწვდის გამამდიდრებელი ფაბრიკა. დახარისხებული მასალების ღონირება ავტომატურად ხდება. ამკრები კონვეიერის საშუალებით ღონირებული მასალა მიდის ბეტონის ამრეკ სამქროში, საიდანაც მზა ბეტონი სილობუსების საშუალებით და კაბელ ამწეებით კაშხალის ტანში ჩაისხმება.

სამწუხაროა, რომ ქარხანა ვერ ასრულებს ბეტონის დამზადების გეგმებს. ქარხნის უფროსმა ა. ხვიტიამ გვითხრა: ბეტონი გვაქვს, მაგრამ კაბელ-ამწეები ხშირად გამოდის მწყობრიდან, ბეტონი ვერ მიაქვთ და არ აზრი აქვს, ჩვენ რომ ბეტონი დავამზადოთო, მაგრამ ეს მთლად ასე როდია: ქარხნის მიზეზითაც ბევრჯერ მოცდენილა კაბელ-ამწეები.

გალის რაიონში, სოფელ საბერიოში მთებს შუა მოქცეულ ტაფობზე მიწის ქვეშ შენდება ძალოვანი კვანძი. ეს მიწისქვეშა საგაური მოთავსებულია კლდეებს შორის, მიწის ზედაპირიდან 100-120 მეტრის სიღრმეში. შენობის სიგრძე 150 მეტრია, სიმაღლე 47, სიგანე 20 მეტრი. ეს რაიონი კარსტული წყლებით არის მდიდარი, ამიტომ მშენებლებს მუშაობა რთულ პირობებში უწევდათ. მიწისქვეშა საგაურის სიმძლავრე 1 მილიონ 300 ათასი კილოვატი იქნება. საგაურში 5 მძლავრი ტურბინა დამონტაჟდება, თვითეულის სიმძლავრე 260 ათასი კილოვატი იქნება.

დასასრულს უახლოვდება კლდის სამუშაობი. პარალელურად მიმდინარეობს ბეტონის სამუშაობი. მთავრდება საგაურის თაღის დაბეტონება, გაჭიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც 3.2 კილომეტრის სიგრძისაა, სიმაღლე 16, სიგანე კი 14 მეტრია. ტურბინებით გადამუშავებული ენერგიის წყალი ამ გვირაბით გალის წყალსაცავს შეუერთდება. დამთავრდა წყლის დონის გამთანაბრებელი (მარეგულირებელი) შახტის კლდისა და ბეტონის სამუშაოები. დამთავრების პროცესშია დახრილი გვირაბების კლდის სამუშაოები.

მშენებლობის აწარმოებს ძალოვანი კვანძის სამმართველო (უფროსი უ. გოჯიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. კუცია) და მისი სუბმოიჯარადრე ორგანიზაციები. 7 თვეში მშენებლებმა 4 მილიონ 954 ათასი მანეთის სამუშაოების ნაცვლად 4 მილიონ 573 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს, რაც გეგმის 92,5 პროცენტს შეადგენს. საკუთარი ძალებით სამმართველომ შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით, 104,8 პროცენტით შეასრულა.

სამმართველოს მშენებლები მუშაობენ აგრეთვე მდინარე ენგურის ერისწყალში გადაგდების სამუშაოებზე. აქ 625 მეტრი სიგრძის გვირაბია გასაყვანი, ხოლო 1.355 მეტრი არხიდან გასაყვანია დარჩა 300 მეტრი არხი, საიდანაც ამოსაღები და გასაზიდავია 60 ათასი კუბური მეტრი მიწა და მთის ქანი. ენგურზე აშენდა 6 მეტრი სიმაღლისა და 180 მეტრი სიგრძის კაშხალი, რომელიც წყალს დაგაუბებს და მისცემს მიმართულებას გვირაბისაკენ.

საშვიდნოემბროდ გვირაბები ერთმანეთს უნდა შეერთდნენ. ხოლო ერისწყალში ენგურის გადაგდება გათვალისწინებულია 15 დეკემბრისათვის დაგვიგვიანა 31 დეკემბრის ნაცვლად. ამჟამად კაშხალზე და ძაღოვან კვანძში მეტად რთულ სამუშაოებს ასრულებენ ჰიდროსპეცმშენისა და სპეციალიზებულ ჰიდროენერგომონტაჟის სამმართველოები (უფროსები ს. ბოროვიკი და ე. ზაიცევი). მაგრამ დავალებები ვერ სრულდება. ჰიდროსპეცმშენის სამმართველომ 7 თვის გეგმა 81 პროცენტით შეასრულა. მშენებლები კაშხალის კვანძზე მიწისქვეშა კონტურის „ჯაჭვის სახის სამაბოს (მიწისქვეშა გამონამუშევრების გატანა, მიწისქვეშა ბეტონისა და ცემენტაციის სამუშაოები), აწარმოებენ, ბეტონებენ სადაწნეო გვირაბსა და ძაღოვან კვანძს, ბურღავენ კლდეს 6-7 მეტრ სიღრმეზე და დიდი წნევის — 30-40 ატმოსფეროს ქვეშ შეჰყავთ ცემენტის ხსნარი.

თაღოვანი კაშხალის ქვეშ იქმნება სადრენაჟო და საცემენტაციო გვირაბების მთელი სისტემა. ამ გვირაბებიდან ისევ ცემენტაციის მეთოდით შეიქმნება 100 მეტრის სიღრმის ე. წ. „წყალგაუმტარი ფარდა“. გარდა ამისა კაშხალის ქვაბულის ქვეშ ტექტონიკური მოვლენების შედეგად დაშლილი ქანები უნდა იქნას გამოლებული და მათ მაგივრ ჩაისხას სათანადო სიმტკიცის ბეტონი ამით კაშხალს საიმედო საყრდენი ექმნება.

შვიდი თვის გეგმის შესრულებას ჩამორჩა სპეციალიზებული ჰიდროენერგომონტაჟის სამმართველოც. ამ შრომითმა კოლექტივმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშაობის ტემპი შეანელა და მუშაობის მოცულობა 38 პროცენტით შეამცირა. რა სამუშაოებს ასრულებს ეს სამმართველო ამ დიდ მშენებლობაზე? ძირითადი სამუშაოა ლითონკონსტრუქციებისა და სადგურის ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების (ვენერატორები, ტურბინები) მონტაჟი. დღემდე სამმართველო ლითონკონსტრუქციების ნაკლებობას განიცდიდა. ტრესტ „ჰიდროენერგომშენის“ (მმართველი ი. არობელიძე) თბილისის საწარმოო კომბინატმა (დირექტორი მ. გეგრიდზითელი) ლითონკონსტრუქციები დროულად ვერ მიაწოდა მემონტაჟეებს. ეს იმ დროს, როცა დიდ მშენებლობაზე დღეისათვის პირველი რიგის სამუშაოების დასამთავრებლად საჭიროა 38 ათას ტონამდე ლითონკონსტრუქცია.

ენგურჰესი საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობაა. აქ ჩამორჩენას არავითარ შეხედულებაში არ უნდა შეურიგდეთ. წლეულს, რაღაც უნდა დაგვიჯდეს კაშხალის ტანში 400 ათასი კუბური მეტრი ბეტონი უნდა ჩავასხათ, შეგქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ენგურჰესი სრული სიმძლავრით დანიშნული დროისათვის ავამოქმედოთ.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ინერტული მასალების საამქროს მოწინავე ზეინკალი ტ. იამბიკოვი (მარჯვნიდან), საამქროს უფროსი ნ. კუკავა, დისპეჩერი რ. გეგერდავა და მექანიკოსი ა. შონია. ქვემოთ — კლდის ქანების მოწინავე მბურღავები დ. აკობია და ა. ნადარაია.

ს. შუბაკარაძის ფოტო.

მეგობრობის ზვარი

კომკავშირის ამბროლაურის რაიკომის აპარატი შრომითი მაგალითის მაჩვენებელია რაიონის ახალგაზრდობისათვის. თვითეულ მუშაკს გაპიროვნებული აქვს სიმინდის ყანა და ვენახის ფართობი.

აპარატის მუშაკებმა ორი წელია სოფელ სადმელში გაბიბოვნეს 1 ჰექტარი მოუვლელი ვენახი, სანიმუშოდ მოუარეს, ყველა აგროღონისძიება განახორციელეს და ბახმობის პირას მისული ზვარი გამოაკეთეს. ვენახს მეგობრობის ზვარი უწოდეს ჩეხოსლოვაკია-რაჭის კოოპერატიული საზოგადოებისა და სადმელის კოლმეურნეობის წევრთა მეგობრობის სახელით.

ა.ა. კერესელიძე.

დროშა გამარჯვებულებს

ახალციხე. (ხაკ. კორ.). „საქვანჩრობის“ ახალციხის განყოფილების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების უმრავლესობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა მეცხრე ხუთწლეული დამამთავრებელი წლის მეორე კვარტალი, რითაც განყოფილება გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა“ საქვანჩრობის“ დირექციისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებელო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჯილდო გამარჯვებულ კოლექტივს სახეიმო ვითარებაში გადასცა „საქვანჩრობის“ დირექტორმა ი. კვინტრაძემ.

„საქართველოს აგიტატორი“ №17

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეცხრამეტე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება ი. ტაბიძის წერილით — „ხუდადიდლთა სიტყვა და საქმე; აქვეა დაბეჭდილი ბ. დახუნდარიძე — „აქტუალური თემა; რ. დოლონაძე — პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის; კ. დოლიძე — სპორდებათ მშრომელებს ჩვენი სიტყვა? დიან სპორდებთ; ა. ველიჯანაშვილი — სიტყვათა და საქმით; დ. გალილოვი — ეკონომიკაზეც, კულტურაზეც, მორალზეც; მ. სულაბერიძე — სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მიმდინარეობიდან და სხვა საინტერესო მასალები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესასვლელად

მეცხოველეობა რენტაბელური რომ იყოს

წინადადებები, სურვილები

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა საჭიროდ მიმაჩნია სავარგულების წესიერად გამოყენება— **ზედაპირული დასუფთავება-შემოკავება და დღეღამური მორიგეობით ძოვება.** დასავლეთ რაიონებში, კოლხეთის ზონაში, განსაკუთრებით ტეხურის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით იგრძნობა კარგი ხარისხის ბალახის — თივის ნაკლებობა, ეს ადვილები სარეველამ, ამ ორი წლის მანძილზე გაანადგურა. მეცნიერებმა დროულად უნდა იფიქრონ ასეთი გასწორებული სარეველების ლიკვიდაციაზე.

პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე მოუწესრიგებელია. ამ მხრივ სამეცნიერო ორგანიზაციები ვალში არიან მეურნეობების წინაშე.

რესპუბლიკის ზოოვეტმომსახურგებამ მეტი მონდომებით უნდა იღუაოს იმაზე, რომ დროულად **მოამზადოს რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადო ვეტხელსაწყოებით და ვეტმედიკამენტებით.** ჯერჯერობით კი იგრძნობა უპარალო, მაგრამ მეტად საჭირო ხელსაწყოების — **თერმომეტრის, სხვადასხვა მოცულობის შპრიცების, ასაცერელი პრეპარატების ნაკლებობა.**

ავიღოთ ასეთი ფაქტი. ლორის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინის ერთი ამპულა 90-100 სულისათვის არის გათვალისწინებული, ხოლო ფრინველის ჭირის ვაქცინისა — 500 ფრთა ფრინველზე. ამ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა პიროტყვე თუ ფრინველი მოკლებულია დროულ მკურნალობას, რადგან ვაქცინებს ვეტმუშაკები არ ხსნიან 20 სული ღორისათვის, ანდა 100 ფრთა ფრინველისათვის.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამპულების შეცვლა ნაკლები მოცულობის დოზით, რათა ისინი გახდეს ხელმისაწვდომი.

არის ფაქტები, როცა მეცხოველეობის სპეციალისტები—ზოოვეტმუშაკები დასაქმებული არიან მათთვის სრულებით მეუფერებელ, თანამდებობებზე. (მაგალითად, სავაჭრო მაღაზიები, სასადილო და სხვ.) ხომ არსებობს კადრების აღრიცხვის ფურცელი, მისი დოკუმენტები, ვისაც ეს ეხება, ამ საბუთებში ყურადღებით უნდა ჩაიხედოს, ხოლო ეს სპეციალისტები ადგილზე მეურნეობებში, სადაც მოსავლის ბედი წყდება, მეტ ღირებულებას შექმნიან.

კოლხეთის ზონაში და მით უმეტეს ჩვენი მეურნეობის ტერიტორიაზე მეტად ხელსაყრელი პირობები გვაქვს **მეკამეჩეობის განვითარებისათვის. ამ სახის ფერმის მოწყობა კარგ შედეგს მოგვცემს.** ამას ფართო გასაქანი უნდა მიეცეს. უნდა დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები, რათა დროულად გამოვასწოროთ წინა წლებში არსებული ნაკლოვანებანი, **მეცხოველეობა რენტაბელური უნდა გავხადოთ.**

ვ. ცხვიტავა,

ცხაკაიას რაიონის ტეხურის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის ვეტექიმი.

მოწინავე მწყემსი

ყაზბეგი. (საქინფორმის კორ.). ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსმა ნიკოლოზ ქავთარაშვილმა მისთვის მიჩენილი 2.500 ცხვარზე მიიღო რაიონში უდიდესი ბატკნის ნამატი — 97 პროცენტი. იგი გამოვიდა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული 8 თვის შედეგების მიხედვით.

ორმოც წელზე მეტია ცხვარს აძოვებს კავკასიონის მთებში მთამომავლობით მწყემსი, ზოგხულობით თავისი მრავალრიცხოვანი ფარით ალპურ საძოვრებზე ადის, ყაზბეგის მთის შორეულ მისადგომებთან, შემოდგომით კი საკოლმეურნეო ფარა 500-კილომეტრიანი რთული ტრასით ყიზლარის საძოვრებისაკენ მიემართება.

ხანდაზმულობის მიუხედავად ნ. ქავთარაშვილი ახლაც მტკიცე დისციპლინის, შრომითი მოვალეობის მაგალითს გვიჩვენებს. პირადი გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის მწყემსი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. თავის დიდ გამოცდილებას იგი ხალისით უზიარებს ახალგაზრდობას. ბევრი მისი აღზრდილი წარმატებით დგას მწყემსის ძნელ ვახტზე რესპუბლიკის მთის სხვადასხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

რაიონის მწყემსთა პირობა წარმატებით გადარეკონ პირუტყვი ზამთრის საძოვრებზე. ნ. ქავთარაშვილმა კი ვალდებულება იკისრა მომავალ წელსაც ბატკნის დიდი ნამატი მიიღოს.

ახალი ერისწყალი ბიბლიოთეკა

საქალაქო ბიბლიოთეკები იუწყებიან

ყუთაისი — ბამის მშენებლებს

ყუთაისი, 8 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ბამის მშენებლებს გაუგზავნა სათადარიგო ნაწილებით დატვირთული რკინიგზის ვაგონი. წლეულს ავტომობილმშენებლები ბამზე გაგზავნეს 6700 მანეთის ავტომობილების სათადარიგო ნაწილებს. ბამელებმა ქუთაისიდან უკვე მიიღეს 5230 მანეთის სათადარიგო ნაწილები. ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა ვადამდე გაუგზავნა მათ ელექტროსატვირთელი.

განიხილეს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხები

ფულუკია 8 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პლენუმმა განიხილა საკითხი „მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად“. მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კურცხალიამ.

კონკურსის გამარჯვებულნი

საქართველოს კინემატოგრაფიკტთა კავშირში შეაჯამეს 1974 წელს კინოკრიტიკისა და კინოთეორიის დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის კონკურსის შედეგები.

პირველი პრემია მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს გ. დოლიძეს მონოგრაფიისათვის „ვ. ი. ლენინი და კინოს საკითხები“ და კინომცოდნეს ლ. თაბუკაშვილს მონოგრაფიისათვის „ნიკოლოზ შენგელაია“.

მეორე პრემია მიიღო კინოკრიტიკოსმა გ. ბარამიძემ ჟურნალ „სამეგობრო ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული სტატიისათვის „დიდი უკრაინელი რეჟისორი“ და საინფორმაციო ბიულეტენში „ახალ ფილმებში“ დაბეჭდილი სტატიისათვის „ოთარ იოსელიანი“.

სერგო ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმში

ორჯონიკიძე, 8 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). ყოველთვის ბევრ დამთვალიერებელს ნახავთ სოფელ ღორეშის სერგო ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმში. მშრომელები აქ მოდიან, რათა უფრო დაწვრილებით გაეცნონ ვ. ი. ლენინის მოწაფისა და თანამებრძოლის, მეზობარი რეკონსტრუქციის, სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

უკვე ოცდაექვსი წელი გავიდა მუზეუმის შექმნის შემდეგ, მაგრამ მის ექსპოზიციას სისტემატურად ემატება ახალ-ახალი დოკუმენტები, ფოტოსურათები, სხვა მასალები, რომლებიც ასახავს ისტორიულ ამბებს.

გასულ ოქტომბერში შესრულდა ს. ორჯონიკიძის დაბადების 90 წელი. მუზეუმში გაცხოველებით ემზადებიამ ამ თარიღისათვის. სახლს, სადაც დაიბადა და აზრდებოდა სერგო ორჯონიკიძე, იმავე სახით, ადადგენენ როგორიც უწინ იყო. ამასთან ერთად გათვალისწინებულია მოაწყონ მუზეუმის მთავარი შესასვლელი, შეასრულონ სხვა სამუშაოები.

თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ერთიანობა

მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის

ახლოვდება ახალი სასწავლო წელი მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში. იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ემთხვევა სკკპ მორიგი XXV ყრილობისათვის მზადების, ყრილობის მუშაობის პერიოდს, მის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და რეალიზაციის დაწყებითს ეტაპს, კომუნისტთა თეორიული სწავლება, მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური განათლება და ეკონომიური სწავლება მოითხოვს პარტიული კომიტეტების, თვითეულ პარტიულ ორგანიზაციის მეტ ყურადღებასა და ზრუნვას.

ეს იქნება პერიოდი საგეგმო დავალებათა განხორციელებისათვის, მომავალი ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ მაღალ ვალდებულებათა შესრულებისათვის საბჭოთა ადამიანების დაძაბული, მიზანდასახული ბრძოლისა, რომლის შედეგები, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულ შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, ბევრად განსაზღვრავენ დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის საერთო შედეგებს, მეათე ხუთწლეულის წარმატებით დაწყებას. ეს იქნება აგრეთვე დიადი მიზნების გზაზე იმ ახალი მიჯნების განსაზღვრის პერიოდი, რომელთა მიღწევას პარტია და ხალხი მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ. სავსებით გასაგებია, რომ ყოველივე ეს თავის განმსაზღვრელ ზემოქმედებას მოახდენს ახალ სასწავლო წელს მარქსისტულ-ლენინური განათლების ძირითად შინაარსსა და მიმართულებაზე, მოითხოვს, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს სწავლების გავლენა პარტიული პოლიტიკის განხორციელებაში კომუნისტთა, მშრომელთა შეგნებულობისა და აქტივობის ამაღლებაზე.

პოლიტიკური სწავლების შემდეგი გაუმჯობესების კარგი საფუძველია დიდი გამოცდილება, რომელიც დაგროვდა პარტიული განათლების ამჟამად მოქმედი სისტემის არსებობის ათი წლის მანძილზე. ამ ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი მუშაობა მარქსისტულ-ლენინური განათლების შემდგომი სრულყოფის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან მისი კავშირის განმტკიცების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა შესასრულებლად. მილიონობით კომუნისტი და უპარტიო ეუფლებოდა რევოლუციურ მოძღვრებას, სწავლობდა პარტიის ისტორიას და პოლიტიკას. მათი ღრმა ინტერესი გამოიწვია პრინციპულმა დასკვნებმა და დებულებებმა, რომლებსაც შეიცავენ პარტიის XXIII და XXIV ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები. ისინი განაზოგადებენ ლენინური პარტიის უდიდეს ისტორიულ გამოცდილებას, განსაზღვრავენ და ასაბუთებენ მის პოზიციებს თანამედროვეობის საკვანძო პრობლემებში, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეცნიერულ ბაზას. ამან საშუალება მისცა კომუნისტებსა და უპარტიოთა აქტივს. დაუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს მის განვითარებაში, თანამედროვე პირობების შესაბამისად მისი შემოქმედებითი გამდიდრების პროცესში, იმ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი პრაქტიკის ცენტრშია აქტიური, კომუნისტურ პოზიციად. იქ კი, სადაც ეს ავიწყდებათ, გარდუვალია სწავლების ან აბსტრაქტულ-საგანმანათლებლო, ან მოვლენათა რეგისტრაციის, წმინდა ინფორმაციული, ან ვიწრო უტილიტარული ხასიათი. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა, უნდა დაძლიონ ეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ანელებენ გაწეული მუშაობის უმნიშვნელოვანესი შედეგია. მომავალ სასწავლო წელს უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ ეს საყოფიერი ტენდენცია.

პროპაგანდისტთა და მსმენელთა აუცილებელ ცენტრში იქნება განვითარებული საზოგადოების პირობებში პარტიის როლის ამაღლების საკითხები, XXIV ყრილობის კურსის შესაბამისად კომუნისტური მშენებლობის ადმ ი ხელმძღვანელობისა და საგარეოპოლიტიკურ ამოცანათა განხორციელებისათვის პარტიის საქმიანობის შედეგები, სკკპ XXV ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი.

ჩვენი ლენინური პარტიის ძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ის ფრის, რომ მის საქმიანობაში ორგანულად შეიწყმესია ღრმა და ყოველმხრივი თეორიული ანალიზი, ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული და რეალისტური პოლიტიკური ვარაუდი და მიზანდასახული, ბეჯითი პრაქტიკული მუშაობა. ამიტომ პარტიული სწავლების მიზანია პარტიის თეორიის, პოლიტიკის, პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა, ღრმად გააზრება მათს დიალექტიკურ ურთიერთკავშირში. გამოცდილება მოწმობს, რომ იქ, სადაც მეცადინეობის დროს ელინდება ეს ურთიერთკავშირი, სწავლება მიმდინარეობს საინტერესოდ, შემოქმედებითად, ქმაყოფილებას ანიჭებს მსმენელებს, ხელს უწყობს ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებას, და ეს ცოდნა იქცევა ადამიანთა ცხოვრების აქტიურ, კომუნისტურ პოზიციად. იქ კი, სადაც ეს ავიწყდებათ, გარდუვალია სწავლების ან აბსტრაქტულ-საგანმანათლებლო, ან მოვლენათა რეგისტრაციის, წმინდა ინფორმაციული, ან ვიწრო უტილიტარული ხასიათი. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა, უნდა დაძლიონ ეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ანელებენ მსმენელთა ინტერესს მეცადინეობისადმი და ამცირებენ მეცადინეობის ეფექტიანობას, და მიაღწიონ ამას, რომ სწავლების დროს თვითეული საკითხის განხილვა ხდებოდეს იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წყვეტს ამ საკითხს მარქსიზმ-ლენინიზმი, თეორიულად, თუ როგორ იძენს იგი პოლიტიკური ამოცანის ფორმას და როგორ წყდება პარტიისა და ხალხის პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორ ხორციელდება ცხოვრებაში.

პოლიტიკურ და ეკონომიურ სწავლებაში უპირველეს ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ საზოგადოებრივი განვითარების მთავარ სფეროში — ეკონომიკის სფეროში, პარტიის ხელმძღვანელი როლის ყოველმხრივ დასაბუთებას, განმარტავდეთ ეკონომიური თეორიის აქტუალურ პრობლემათა შემუშავებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი წვლილის შინაარსსა და მნიშვნელობას, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსს, რომელიც შემუშავა XXIV ყრილობამ, დაკონკრეტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებმა და თანამიმდევრულად ხორციელდება. მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ინტერესი აქვს იმას, რომ მეცადინეობებზე ვსწავლობდეთ, თუ როგორ მიმდინარეობს და რა შედეგები მოჰყვება პარტიისა და ხალხის ბრძოლას მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებისათვის, გაეცნაროთ სახალხო მეურნეობის დინამიზმის, ეკონომიური და სოციალური ეფექტიანობის ზრდის ობიექტური პირობები და სუბიექტური ფაქტორები განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. უფრო სრულად უნდა ვიყენებდეთ სამეურნეო პრაქტიკის ანალიზის მონაცემებს, მსმენელებს ვასწავლდეთ საწარმოსა თუ კოლექტივში საქმეთა ვითარების, საკუთარი შრომის შედეგების სწორად შეფასებას თანამედროვე მოთხოვნათა პოზიციებიდან, ვახალისებდეთ მათ შემოქმედებისათვის, წარმოების ეფექტიანობის გადიდების დამატებითი რეზერვების ძიებისა და გამოყენებისათვის, ვუნერგავდეთ შეურიგებლობას კუთხურობის, ტექნიკური კონსერვატიზმის, უყაირათობისა და დონდლოობის გამოვლინებებისადმი.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში იზრდება უდიდეს სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანათა გადაწყვეტის შესაძლებლობანი, სოციალური თეორიისა და პარტიის პოლიტიკის მნიშვნელობა. პირველად სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის პროპაგანდისტებსა და მსმენელებს აძლევს უმდიდრეს მასალას, რომლიც ადასტურებს, თუ რამდენად ზუსტი აღმოჩნდა და რაოდენ თანმიმდევრულად ხორციელდება პარტიის თეორიული დებულებანი, პოლიტიკური დასკვნები და ფართო პრაქტიკული ღონისძიებანი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დარგში. ამას დამჯერებლად ცხადყოფს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურის ამაღლება, ჩვენი ქვეყნის კლასებ

მსოფლიო დღეს

9 სექტემბერი

ამბები • ფაქტები

საქმეები და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

სოფია

მიეძღვნა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს

ლისაბონი

რევოლუციურმა საბჭომ მოიწონა კონსტიტუციური კანონი

სტოკჰოლმი

გმოგებენ ჩილეს ფაშისტური ხუნტის სისხლიან დანაშაულებებს

ბოლო ვოიღოს დანაშაულობას!

სტოკჰოლმი, (საკდესი). აქ შვეციის პარლამენტის შენობაში გაიმართა ჩილეს საგანგებო ხუნტის დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის სამდივნოს გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე „ჩილეს სამხედრო დიქტატურის ორი წელი" — მიღებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ჩილელი ხალხი კვლავ იბანჯგება

1975 წლის თებერვალში მეხიკოში გამართული კომისიის მესამე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამდივნომ გამოაქვეყნა ხუნტის დანაშაულობათა უშუალო მოთავეების სია ერთ-ერთი დოკუმენტი შეიცავს ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლ. კორვალანის განთავისუფლების მოთხოვნას.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ჯ. ალმეიდა—ალიენდეს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ჩილეს წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით მადლობა გადაუხადა საერთაშორისო კომისიას ჩილელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან სოლიდარობისათვის.

საზეიმო კრება სოფიაში

9 სექტემბერს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში, რათა საზეიმოდ აღენიშნათ მოძმე ხალხის ეროვნული დღესასწაული — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავი.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ. ყანჩაველმა.

ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან გახვლილი წლები, რევოლუციისა, რომელიც საბჭოთა არმიის გადამწყვეტი დახმარებით მოხდა, თქვა ლ. ყანჩაველმა, მთელი ოქტომბრის საქმის განგრძობაა. ამ დღეს ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი დიდ მადლობას უძღვნიან საბჭოთა ხალხსა და მის ძლევამოსილ არმიას, რომელმაც ფასდაუდებელი, გადამწყვეტი დახმარება გაგვიწია სექტემბრის რევოლუციის გამარჯვებაში.

ორატორი შეეხო ბულგარეთის მიერ მოპოვებულ წარმატებებს სახალხო ხელისუფლების წლებში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წარმატებანი ბულგარეთის კომპარტიის სწორი პოლიტიკის შედეგია.

უკანასკნელ წლებში, თქვა შემდეგ ს. ტოდოროვმა, საერთაშორისო ცხოვრება ვითარდება პოლიტიკური დაძაბულობის შენელების ნიშნით, რომელსაც დასაბამი მისცა სკკპ XXIV კონგრესმ.

სრულიად ევროპის თანბარის მოწვევამ და წარმატებით დამთავრებამ და საერთოდ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, უდიდესი როლი შეასრულა პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ს. ტოდოროვმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზმი ყოველთვის იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, მისი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობის განუყოფელი ნიშანი. დღეს, როცა ჩვენ აღვნიშნავთ ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 31 წლისთავს, თქვა მან, კვლავ ვაცხადებთ, რომ უსაზღვროდ ვუმეერთ მხარს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის ინტერნაციონალური არსის უცვლელი გამოხატულებაა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, აღნიშნა ორატორმა, ყოველ ღონეს ხმარობს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და ძლიერების განმტკიცებისათვის, მხარს უჭერს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარებას, ეარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის განმტკიცებას. ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ ჩინეთის კომპარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაოისტური ხელმძღვანელობის გამთიშველი, ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური და ნაციონალისტური კურსის წინააღმდეგ, განაცხადა დასასრულს ს. ტოდოროვმა.

მოძმე ბულგარეთის დღესასწაული

მოსკოვში

9 სექტემბერს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში, რათა საზეიმოდ აღენიშნათ მოძმე ხალხის ეროვნული დღესასწაული — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავი.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ. ყანჩაველმა.

ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან გახვლილი წლები, რევოლუციისა, რომელიც საბჭოთა არმიის გადამწყვეტი დახმარებით მოხდა, თქვა ლ. ყანჩაველმა, მთელი ეპოქა ბულგარელი ხალხისათვის. დღეს ბულგარეთი თანამედროვე მრეწველობის, განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე მოწინავე სოციალისტური სახელმწიფოა, სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ქვეყანაა.

მომხსენებელი შეეხო ესაუბრა ქართველი და ბულგარელი ხალხების ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობაზე, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობი საზოგადოების განყოფილების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ქიკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები. მათთან ერთად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი შ. რ. რაშიდოვი.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ს. ტოდოროვმა. 9 სექტემბრის რევოლუცია, თქვა მან, დიდი ოქტომბრის საქმის განგრძობაა. ამ დღეს ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი დიდ მადლობას უძღვნიან საბჭოთა ხალხსა და მის ძლევამოსილ არმიას, რომელმაც ფასდაუდებელი, გადამწყვეტი დახმარება გაგვიწია სექტემბრის რევოლუციის გამარჯვებაში.

ორატორი შეეხო ბულგარეთის მიერ მოპოვებულ წარმატებებს სახალხო ხელისუფლების წლებში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წარმატებანი ბულგარეთის კომპარტიის სწორი პოლიტიკის შედეგია.

უკანასკნელ წლებში, თქვა შემდეგ ს. ტოდოროვმა, საერთაშორისო ცხოვრება ვითარდება პოლიტიკური დაძაბულობის შენელების ნიშნით, რომელსაც დასაბამი მისცა სკკპ XXIV კონგრესმ.

სრულიად ევროპის თანბარის მოწვევამ და წარმატებით დამთავრებამ და საერთოდ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, უდიდესი როლი შეასრულა პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ს. ტოდოროვმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზმი ყოველთვის იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, მისი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობის განუყოფელი ნიშანი. დღეს, როცა ჩვენ აღვნიშნავთ ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 31 წლისთავს, თქვა მან, კვლავ ვაცხადებთ, რომ უსაზღვროდ ვუმეერთ მხარს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ბულგარეთის

1975 წელი—ქალის საერთაშორისო წელი

ჩანამელი ქალები მოითხოვენ ქვეყნის სუვერენიტეტის ცნობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას და ეროვნულ ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოს უფლების დამტკიცებას. სურათზე: ქალთა ერთ-ერთი მანიფესტაცია.

პრესა ლატინა-საკდესის ფოტო.

ედგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი. (საკდესი). პორტუგალიის პრეზიდენტმა ფ. კოშტა გომეშის თავმჯდომარეობით აქ გაიმართა პორტუგალიის რევოლუციური საბჭოს სხდომა, სხდომაზე მოიწონეს კონსტიტუციური კანონი, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების მდგომარეობის ამსახველი პრესხისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცნობებისადმი კონტროლის ფაქტიურ დაწესებას. აკრძალულია პრესაში ყოველგვარი მასალის გამოქვეყნება, რომელიც ეხება შეიარაღებული ძალების მდგომარეობას, გარდა რესპუბლიკის პრეზიდენტის, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, სახმელეთო ძალების, სამხედრო საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი შტაბების უფროსების, აგრეთვე პორტუგალიის რევოლუციური საბჭოს წევრების ჩათვლით ანტენიმი ალვიმი, რომელიც გამოიყვანეს მისი წინა შემადგენლობიდან ეგრეთწოდებული „მეოთე ანტენიმის დოკუმენტის" გამოქვეყნების შემდეგ. საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანილია აგრეთვე კოშტა მარტინში, რომელიც ვასკუ გონსალვესის მთავრობაში შრომის მინისტრი იყო. ამავე

პორტუგალიის რევოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებანი

კოპკონის ძალების სარდლის ოფიციალური განცხადებებისა. ამერიდან მხოლოდ რევოლუციური საბჭოს წევრებს აქვნებათ უფლება მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს მისცენ ინტერვიუ ამა თუ იმ თემაზე.

**რევოლუციურმა საბჭომ გადაწყვიტა საბჭოს წევრებად ჩითვალონ მაიორები მელუ ანტუნიში და ვიტორ ალვ

სიგელი უაგარდო-მალყარეთიდან

ამბავ წინათ ზუგდიდის საკანონმდებლო სამგზავრო ავტოსადგურში ჩამოდგა სარეისო ავტობუსი, რომელსაც ქ. ნალჩიკის ბავშვთა რესპუბლიკური ტურისტული საექსკურსიო ბაზა „კიზილოვკის“ 30 ნორჩი ტურისტი მოჰყვდა. მარშრუტის გეგმაში შედიოდა წალენჯიხისა და კურორტ სქურის დათვალიერებაც.

სადამო ჟამია, წალენჯიხისაკენ მიმავალი ბოლო სარეისო ავტობუსი კარგახნის წასულია. მეწუხდნენ ნორჩები, მათი ხელმძღვანელები. გარდუვალი ხდებოდა გაუთვალისწინებელი ღამისთევა, მარშრუტის გეგმის დარღვევა, მაგრამ სადგურის მორიგე დისპეტჩერმა კ. კაჭარავამ მათ დახმარება აღუთქვა. მალე ავტობუსიც მზად იყო. ბავშვები მადლობას უხდიდნენ სადგურის გულისხმიერ თანამშრომელს.

ყაბარდო-მალყარეთის ასს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ გულწრფელი დახმარებისათვის კ. კაჭარავა საპატიო სიგელით დაჯილდოვა, სადგურის დირექციას კი მადლობის ბარათი გამოუგზავნა.

კ. ფიფია.

მეგობრობის საღამო

ამბროლაური. (სკ. კორ). ქალაქ ამბროლაურში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ზაფხულის ბოლოს აქ იმართება ახალგაზრდული „მეგობრობის საღამო“. ასე იყო ამჯერადაც. სასოფლო კლუბი ხალხით გაიესო. მეგობრობის საღამოზე მოვიდნენ ამბროლაურელი, სადმელელი, ბუგეულელი, ჭრებალოელი, ხვანჭკარელი და თბილისიდან სოფლად დასასვენებლად ჩასული ახალგაზრდები.

ლექციით — „ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა“. გაკოიდა ლექტორი გ. ტურძელაძე. დასასრულ თვითმოქმედების ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.



„ბორჯომი“ და ბორჯომელები

□ უგადლო წყალი

□ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მინერალური წყალს „ბორჯომს“ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ეს დადგენილია ცნობილია. არ არის კუთხე ჩვენს ქვეყანაში, სადაც არ სვამდნენ „ბორჯომს“. ეს მინერალური წყალი ბევრ საზღვარგარეთის ქვეყანაშიც იგზავნება.

„ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ძალლონეს არ იშურებს, რომ სრულად დააკმაყოფილოს თავისი პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილება.

გაერთიანების წარმოების მუშაკებმა, რომლებიც დადგნენ სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის შრომითს ვახტზე, გადაწყვიტეს 16 სექტემბრისათვის შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის გეგმა.

* * *

სურათებზე: ზემოთ — გასაგზავნად დამზადებული „ბორჯომი“; ქვემოთ — სეფტლანა ტირიციანი, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სხვა გაზეთებიდან

ავტომობილების მუზეუმი

რამდენიმე წლის წინათ ორმა ახალგაზრდა ჩეხმა შემთხვევით იპოვნა მიტოვებულ ფარდულში ძველი ავტომობილის ნაშთები. ამ „ტანჩის“ პატრონები უდიდესი სიხარულით უმნიშვნელო თანხის საფასურად შეიძინეს რკინის ხარასურას. სამოოთხი თვე გავიდა, სანამ საკმაოდ ძნელი შრომის შემდეგ ავტომოყვარულებმა შეძლეს აემოძრავებინათ მანქანა. გავიდა კიდევ ხანი და ისინი იმდენად შეეჩვივნენ ამ მანქანას, რომ გაბედეს მონაწილეობა მიეღოთ ძველებური ავტოების შეჯიბრებაში, რომელიც ავსტრიაში მიმდინარეობდა. ახალგაზრდებმა წარმატებით გაიარეს პირველი ეტაპი, ხოლო მეორის დაწყებაც ვერ მოასწრეს, რადგან სტარტის პირველი სიგნალებისთანავე მათ მბვარდა აღელვებული კაცი.

— გევედრებით, მეტს ნუღა ჩქარობთ, — ყვიროდა იგი. — ვაითუ რამე დაემართოს თქვენს მანქანას, მე კი ამას ვერ დავუშვებ!...

აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ჩეხებს შემთხვევითაც შეუძენიათ „დაიმლერ-ბენცის“ ფირმის ერთ-ერთი პირველი უნიკალური მოდელი, ის კაცი კი, რომელიც მათ შესვდა, ამ ფირმის საქარხნო მუზეუმის წარმომადგენელი იყო. სწორედ ასეთი ეგზემპლარი აკლდა მის ეგზამპლიციას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძველი მანქანა მუზეუმში ბოლოდ.

ჩეხოსლოვაკიაში ახლა შეიძლება შეხვდეთ საკმაოდ ბევრ ავტომობილს, რომლებიც გამოშვებულია ჯერ კიდევ ოცდა-ოცდაათიან წლებში, და უფრო ადრეც.

ამაში გასაკვირველი არაფერია. ხომ სწორედ აქ გამოჩნდა ერთ-ერთი პირველი მექანიკური მატარებელი: 1815 წელს პრაღელმა მექანიკოსმა იოსეფ ბოჟეკმა დაამონტაჟა ორთქლის ძრავი ოთხთვალა ურემზე. შიდაწვის ძრავიანი პირველი ავტომობილიც შექმნილია აქვე 1897 წელს (ახლა იმ ძველი პატარა ქარხნის ადგილას არის მსოფლიოში ცნობილი საწარმო „ტატრა“). პირმშო მანქანა საათში 22,6 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებდა. იმ დროისათვის ეს რეკორდი იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ ამავე მხარეებში იშვა მოტოციკლი „სლავია“, რომელიც საათში უკვე 50 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა.

ჩეხოსლოვაკია ბევრი საავტომობილო ფირმის სამშობლო გახდა. ზოგიერთი მათგანი („იავა“, „პრაღა“) დღემდე არსებობს. საკმაოდ ბევრ უნიკალურ მანქანას მოუყარეს თავი პრაღაში ტექნიკის სახლხო მუზეუმში.

„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“.

ქვარია მოხდა, ვინ ქრის დამნაშავე?!

ღვინოს გადარია

ამბროლაური. (სკ. კორ.). სამუშაო დღე დამთავრდა. რაიკოოპერატივის ნავთის სახადი ავტომანქანის მძღოლმა ვარდენ ინოდის-ძე ფარჯიანმა, ნაცვლად ბენზინისა, რომ მანქანა მიჩენილ ადგილზე დაეყენებინა, ცენტრალურ მარაგზე ვაინავარდა და სოფელ ბოსტანაში თავისი მეგობრის რ. ჯანგიძის ოჯახში ამოჰყო თავი. გაამალა სუფრა, „ადღეგრძელო სადღეგრძელოზე ზეიცვა.

ბახუსით თავგახურებული სტუმარი ჯიროთის ხასიათზე დადგა. მიუყოდა სიმღერა და საყვირ-სიგნალი რამდენჯერმე შემოურბინა სოფელს.

ღვინისაგან გადარეული მძღოლის დამშვიდება სოფლის მკვიდრმა, სატყეო მეურნეობის ამწე მანქანის მძღოლმა ზურაბ ყიფიანმა ითავა. იგი გზის მარცხნა მხარეზე დადგა და დიდი სისწრაფით მომავალ მანქანის ხელი აუწია, გაჩერება სთხოვა. ამხანაგისა და კოლეგის დანახვაზე ვ. ფარჯიანი მთლად გადაირია, სიჩქარეს კიდევ უფრო მოუმატა და მანქანა პირდაპირ მისკენ მიმართა. ზ. ყიფიანმა იცრძნო მოახლოებული საფრთხე და გვერდზე გადახტა, მაგრამ განსაცდელს მაინც ვერ აცდა, მას ავტომანქანა დაეჯახა. შემთხვევის ადგილზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ახლა მძღოლმა ავტომანქანა მათკენ მიმართა, მაგრამ თავს უშველეს, ვინ ფერდობზე დაგორდა, ვინ კიდევ ღობეს გადაეკვლო.

უდანაშაულო ადამიანი სასწრაფოდ საავადყოფოში წაიყვანეს, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. მძღოლი მიიმალა, მაგრამ ისევე ღამეს დაიკავეს.

ბოსტანაში დატრიალებული უბედური შემთხვევა ერთხელ კიდევ მეტყველებს იმაზე, თუ რა მძიმე შედეგი მოჰყვება სომფრალეს, ნასვამის მიერ ავტომანქანის მართვას.

3. ციბეკიძე.

თბილისის 23-ე ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის შემდეგი პროფესიის კვალიფიციური მუშაების მოსამზადებლად (ქართული სექტორი): 1. მრთველი, 2. მეცოველი.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონებნი; სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია. მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან უფასო ბინით, მიიღებენ საერთო წესით სტიპენდიას და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს;.

მოსწავლეებს სწავლების ბერიოდი ჩაეთვლებათ მუშაობის სტაჟად და უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან საერთო წესის ზაფუძველზე საველდებულო სტაჟის გარეშე.

ძირითადი პროფესიის გარდა მოსწავლეებს შეუძლიათ დაეუფლონ ჭრა-კერვის და ხელით ქსოვის სპეციალობებს და დამთავრების შემდეგ ატესტატთან ერთად მიეცემათ სათანადო ცნობები.

სასწავლებელში მიხალებად საჭიროა: 1. განცხადება, 2. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 3. დაბადების მოწმობა (დედანი), 4. ცნობა საცხოვრებელ ადგილიდან, 5. დასასვათება სკოლიდან, 6. სამი ცალი ფოტოსურათი (3X4), 7. პასპორტი (წარდგენილ უნდა იქნას პირადად), 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე შემდეგი მისამართით: ლენინის რაიონი, ტრიკოტაჟის ქ. № 3, № 23 ქალაქის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი.

ტელეფონი: 66-19-55. ავტობუსი: 18, 31, 62, 25, 71, 72, 9. მეტროს სადგური ელექტროდეპო.

დირექცია.

სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „საქსაშენმასალების“

საშენ მასალათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1975 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. არამეტალური სილიკატური და ძნელად ლღობადი მასალების ტექნოლოგია (წარმოებიდან მოწყვეტით და მოუწყვეტლად) — 2 ადგილი;

2. საშენი მასალები და ნაკეთობანი (წარმოებიდან მოუწყვეტლად) — 1 ადგილი;

ასპირანტურაში მიხალებად განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს გაერთიანების გენერალური დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დიპლომის ასლი, ფოტოსურათი, დასასვათება სამსახურიდან, გამოქვეყნებული და სამეცნიერო-ტექნიკური ნაშრომების სია, ცნობა გამოგონებაზე. პირები, რომლებსაც არა აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და გამოგონებანი, ადგენენ რეფერატს ამორჩეული სპეციალობის მიხედვით.

პირებს, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან გამოცდებზე, სამუშაოდან ეძლევათ 30 კალენდარული დღის შვებულება ხელფასის შენარჩუნებით.

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს: სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.

განცხადებები მიიღება 20 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები 1 ოქტომბრიდან. დაწვრილებითი ცნობები — მისამართი: თბილისი, პავლოვის ქ. № 32/34, ტელ. 31-11-15.

ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს

სასწავლო-საწარმოო კომბინატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის. სასწავლებელი ამზადებს:

1. ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალურ მკერავებს, 2. მამაკაცის პერანგის (საროჩკის) მკერავებს, 3. ფარფო პროფილის ფოტოგრაფებს, 4. მამაკაცის პარიკმახერებს.

სწავლების ვადა ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის კერვის სპეციალობაზე 1,5 წელია, მამაკაცის პერანგის კერვისა და ფოტოგრაფის სპეციალობაზე 10 თვე, ხოლო მამაკაცის პარიკმახერის სპეციალობაზე 5 თვე.

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1) მომართვა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის წარმოება-დაწესებულებებიდან, 2) განათლების მოწმობა (დედანი), 3). დაბადების მოწმობა (დედანი), 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5) ავტობიოგრაფია, 6) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7) სამი ფოტოსურათი, პასპორტს და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) წარადგენს პირადად.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია თვეში: კერვისა და ფოტოგრაფის სპეციალობაზე 38 მან. ხოლო პარიკმახერის სპეციალობაზე 30 მან. რაიონებიდან მოვლენებულ მოსწავლეებს დამატებით მიეცემათ თვეში 10 მანეთი.

საბუთების მიღება დაწყებულია და გაგრძელდება 30 სექტემბრამდე. სასწავლებელში მოსწავლეთა ჩარიცხვა მოხდება წინასწარი გასაუბრების შემდეგ.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი, მე-8 კორპუსი, ტელ. 51-39-13.

მოგზაურობის მოყვარულთათვის!

1975 წლის ივლისში საექსპლოატაციოდ გადაეცა საოჯახო ლანერი „ოდესა“. ხომალდს აგებისათვის გამოყენებული იყო მსოფლიოს გემთმშენებლობის უკანასკნელი მიღწევები.

ავტომანქანები და ბარგი ვეღარ გადაიქნა. იგი გათვალისწინებულია საკრუიზო ცურვისათვის და თავისი კომფორტაბელურობით საუკეთესო სასტუმროებს არ ჩამოუვარდება.

კაიუტების უმეტესი ნაწილი ორ და სამადგილანია (დასაკეცი საწოლებით), განეკუთვნება პირველ კლასს და ყველა აუცილებელი მოწყობილობით არის აღჭურვილი.

მომდინარე წლის სექტემბერში თბომავალი „ოდესა“ გაიკეთებს რეისებს მარშრუტთ: ოდესა-ბათუმი-ოდესა-იალტა, ნოვოროსიისკის, სოჭის, სოხუმის ნავსადგურებში შესვლით.

ოდესიდან გასვლის დღეები — 13, 23;

ბათუმიდან გასვლის დღეები — 13, 20, 27;

ხომალდზე და გაჩერებებზე გათვალისწინებულია კომპლექსური მომსახურება, რომელშიც კვებაც შედის.

ბილეთების შეძენა შეიძლება ქალაქის საზღვაო სადგურ სალაროებში (პოტომკინელთა მოედანი № 1. ტელეფონი 25-35-39).

ორმხრივი მოგზაურობის ბილეთი 156-170 მანეთი ღირს.

შთამბეჭდავი და საინტერესო მოგზაურობის დროს თქვენ საშუალება გექნებათ გაეცნოთ ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ბედნიერ ცურვას ბისურვებთ!

ტურისტების საყურადღებოდ!

მომდინარე წლის სექტემბერში ავტოსამგზავრო თბომავალი „საქართველო“, რომელიც აღჭურვილია უახლესი კომფორტაბელური მოწყობილობით, გააკეთებს საკრუიზო რეისებს მარშრუტთ ოდესა-ბათუმი-ოდესა.

თვითეული რეისზე თბომავალი გადაიყვანს **500 მგზავრს და 250 ავტომანქანას.**

ხომალდზე და ნავსადგურებში შესვლისას მომსახურება კომპლექსურია, რომელშიც რესტორანში კვებაც შედის.

ოდესიდან გასვლის დღეები — 11, 18;

ბათუმიდან გასვლის დღეები — 15, 22;

ბილეთები წინასწარ შეგიძლიათ შეიძინოთ:

ოდესაში — ქალაქის საზღვაო სამგზავრო სალაროში (პოტომკინის მოედანი № 1).

ნავსადგურებში — საზღვაო ვაგზლების სალაროებში.

ბორჯომის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო

გიწვევთ სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“.



23 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე.

შემდეგი მარშრუტთ:

ბორჯომი-კიევი-ლვოვი, უჟგოროდი, მუკაჩევო-რახოვი-იასმჩა-ჩერნოვცი-კ ი შ ი ნიოვი-ოდესა-ბორჯომი.

საგზურის ღირებულებაა 145 მანეთი

ღირებულებაში შედის მგზავრობა ნახევრადრბილ-კუპირებულ ვაგონში სამჯერადი კვებით ვაგონ-რესტორნებში, საექსკურსიო მომსახურება ქალაქებში. **საგზურების შეძენა შეიძლება შემდეგი მისამართით: ქ. ბორჯომი, ვაშლოვანის ქ. № 50. ტელეფონი 2-21-42.**

ბორჯომის საექსკურსიო სამოგზაურო ბიუროს დირექცია.

დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ!

მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხანძარო უსაფრთხოების წესების ცოდნასა და ცეცხლსაქრობ პირველად საშუალებათა გამოყენების უნარზე ბევრად არის დამოკიდებული ხანძრის თავიდან აცილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

მოაწყეთ ლექციები ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე, ტექმინიმუმები, უზრუნველყოთ ობიექტი შესაბამისი თვალსაჩინო აგიტაციის მასალებით.

ყოველი საწარმოო შენობის, კულტურულ-სანახაობათა დაწესებულების, სასწავლებლის, ადმინისტრაციული ნაგებობის, სავაჭრო-სასაწყობო საწარმოსათვის უნდა შეიმუშავდეს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის სპეციალური ინსტრუქცია.

თვითეულმა მუშა-მოსამსახურემ უნდა იცოდეს ინსტრუქცია და მტკიცედ იცავდეს მას.

ობიექტების ხელმძღვანელებო!

გახსოვდეთ, რომ სწორედ თქვენ გაკისრიათ აღნიშნული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ვინაიდან წნორის საგზაო რესტორანი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, გაუქმებულია და შეერთებულია გურჯაანის საგზაო რესტორანთან, ამიტომ ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას ერთი თვის ვადაში უფლება აქვთ პრეტენზიების წამოყენებისა. წნორის საგზაო რესტორნის ფონდები და მოვალეობა გადაეცა გურჯაანის საგზაო რესტორანს.

რესტორნის დირექცია.

ᲡᲘᲒᲘᲚᲘ ᲣᲐᲒᲐᲠᲓᲝ-ᲛᲐᲚᲧᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲜ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲓᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲡᲐᲠᲔᲘᲡᲝ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲒ Ქ. ᲜᲐᲚᲩᲘᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲝ ᲑᲐᲖᲐ „ᲙᲘᲖᲘᲚᲝᲕᲙᲘᲡᲘᲡ“ 30 ᲜᲝᲠᲩᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐᲓᲐ. ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲡᲥᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝ ᲟᲐᲛᲘᲐ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲠᲔᲘᲡᲝ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲮᲜᲘᲡ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲔᲣᲬᲣᲮᲓᲜᲔᲜ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ. „ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ